საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

11/03/2024

MES 2 24 0000291388

ა(ა)იპ კოლეჯი ,,იკაროსის“ მიერ „კულინარიის საფუძვლები“ პროფესიული მომზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

ა(ა)იპ კოლეჯი ,,იკაროსის“ მიერ 2024 წლის 27 თებერვალს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი), ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოდგენილი იქნა განაცხადი (განაცხადის ID 01886) პროფესიული მომზადების პროგრამის „კულინარიის საფუძვლები“ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის შესახებ, ასევე, პროფესიული მომზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე განსაზღვრული საფასურის გადახდის ქვითარი.

ა(ა)იპ კოლეჯი ,,იკაროსის“ მიერ, 2024 წლის 11 მარტს მოთხოვნილ იქნა პროფესიული მომზადების პროგრამის „კულინარიის საფუძვლები“ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ კოლეჯი ,,იკაროსის“ მიერ (ს/კ: 211351071) „კულინარიის საფუძვლები“ პროფესიული მომზადების პროგრამის (განაცხადის ID 01886) ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა